



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**

Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**



ოქმი № 6

„30 „ 05

2019 წ

**დადგენილება № 21**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების თარიღის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება“ -ის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 07 ივნისს, 15:00 საათზე.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს სხდომა  
ოქმი № 6

30.05.2018 წ.

ქ.ახალციხე. 11.00

სხდომას აკადემიური საბჭოს 8-წევრიდან ესწრება 5 წევრი.

სხდომას ესწრებიან: ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე (საბჭოს თავმჯდომარე); პროფესორები: ირმა ქურდაძე (მდივანი); რაგულ ინასარიძე, თინა გელაშვილი, გიორგი ბარბაქაძე.

სხდომას არ ესწრებიან: ასოცირებული პროფესორები: ელგუჯა ჭანტურია; ვასილ ტაბატაძე; ნატო ყრუაშვილი

დღის წესრიგი

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევი დოკუმენტაციის განხილვა/არჩვენების თარიღის განსაზღვრა.

/მაკა ბერიძე/

2. მიმდინარე საკითხები

1. მოისმინეს: მაკა ბერიძის ინფორმაცია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევი დოკუმენტაციის განხილვა/არჩვენების თარიღის განსაზღვრის თაობაზე.

მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ასარჩევად უნდა განისაზღვროს თარიღი.

საბჭოს წევრებმა გამოხატეს პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, არჩევნების ჩატარების თარიღად დასახელდა 2019 წლის 7 ივნისი, 15 სთ.

განხორციელდა კენჭისყრა:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 7 ივნისი, 15 საათი.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი:

2. 

მაკა ბერიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი,  
პროფესორი:

ი.ქურდაძე